ხელშეკრულება № 181

ქ. თბილისი 13 აპრილი 2017წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი" (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი დირექტორი რუსუდან ჩართოლანი სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრები სხვადასხვა მომსახურება (CPV 98300000) დანართ №1-ში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ექვს თვიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება. (CPV 98351110)

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2 ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის ექვს თვიანი პარკირების საფასური შეადგენს 25 (ოცდახუთ) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 50 ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით,

უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს შესყიდვების მენეჯერი ვლადიმერ კორღალიძე

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
(ა)იპ პროფესიული კოლეჯი "იკაროსი" მარშალ გელოვანის № 4 "სახელმწიფო ხაზინა კოდი 32030121 საიდენტიფიკაციო კოდი: 211 351 071 ტელეფონი: 577 900 401 დირექტორი რ. ჩართოლანი ----------	შპს „სი-ტი პარკ" საიდენტიფიკაციო კოდი 204543770 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47 ტელ: 2555123 ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45 ---------- გენერალურ მენეჯერი ბ. ლაჰავ

დანართი № 1

KIA RIO	FFI 180
TOYOTA HIACE	HEH 456